ადრესატი:

ემზარ თევდორაძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

წერილის ნომერი:**31-31220698**
თარიღი: **10/03/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“
სხდომის ოქმი №2

ლანჩხუთი

04.03.2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**
სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია (დისტანციურად).
მოწვეული პირი: ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ მიერ 2017-2021 წ.წ. მუშაობის ანგარიშის მოსმენა.
სხდომის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და ფრაქციის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ მიერ 2017-2021 წ.წ. მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

2. სხვადასხვა:

1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე - ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ მიერ 2017-2021 წ.წ. მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა ცენტრის ხელმძღვანელმა - ნატა კობალავამ.
ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ კითხვით მიმართა ნატა კობალავას, იგეგმება თუ არა რეორგანიზაცია, მან ასევე აღნიშნა, რომ ხელფასები ძალიან მცირედითაა მომატებული, რაც ნამდვილად არ არის ბაღში მომუშავე პერსონალისთვის საკმარისი. ფრაქციის თავმჯდომარემ განმარატა, რომ ეთანხმება ხელფასების მატების საკითხს, როგორც მაკა მშვიდობაძემ თქვა, ერჩივნა მის ნაცვლად ბაღის თანამშრომლების ხელფასი მომატებულიყო. ფრაქციის წევრი გოჩა ჯანაშიაც ეთანხმება ხელფასების მატების საკითხს, მისი თქმით ხელშეწყობა ჭირდება აღნიშნულ ა(ა)იპ-ს და საჭიროა დამატებით თანხების გამოყოფა.
ნატა კობალავამ განმარტა, რომ რეორგანიზაცია არ შეხებიათ, თანამშრომლების რაოდენობა, რამდენიც არის სტანდარტების მიხევით საჭიროა, რაც შეეხება ხელფასების მატებას, მისი განმარტებით ყოველ წელს იყო მცირედით მატება (გარდა 2020 წლისა) საკითხი დასახვეწია, მაგრამ რეგიონის დონეზე გათანაბრებულია ხელფასები.
ფრაქციის წევრები აღნიშნავენ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებისას უნდა მიიღონ მონაწილეობა, რათა მიმართული იყოს თანხები ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“-კენ, მათ ასევე მადლობა გადაუხადეს ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელს და დახმარება აღუთქვეს, ასევე შეთანხმდნენ, რომ კიდევ შეხვდებიან უმოკლეს დროში და დეტალურად განიხილავენ ა(ა)იპ-ის ანგარიშს.
ჯუმბერ ბლაგიძე ასევე დაინტერესდა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში რომ ერთი ახალი საბავშვო ბაღის შენობა კეთდება შენარჩუნდება თუ არა თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ. ნატა კობალავას თქმით დიდი ადმინისტრაციული ერთეულია, შესაბამისად თუ მოხდება ჯგუფების რაოდენობა, თანამშრომლების რაოდენობაც საჭირო იქნება.
ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი

საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ მუშაობა და შეთანხმდნენ სამომავლოდ თანამშრომლობაზე.

სხვადასხვაში: ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ დააყენა წინადადება სამუშაო ოთახის მოწყობასთან დაკავშირებით. მან მიმართა ფრაქციის წევრებს, რომ 2023 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოამზადონ შენიშვნები და წინადადებები.

ვინაიდან სხვა საკითხები ფრაქციის წევრების მიერ არ დასმულა, ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

04.03. 2022 წელი

11:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	10:55.	
2	გოჩა ჯანაშია	ესწრებოდა	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	11:00	